ისევ მესამე ადგილზე

როსტოვი. “როსტსელმაშის” სტადიონი. 13 ოქტომბერი.

ასკ (როსტოვი) _ “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

ასკ: ბოიჩენკო, მალიხა, გეტმანოვი, კაზაჩოკი, კრივობოროდოვი, ჩერტკოვი, კუჩინსკასი, ბორდოვსკიხი, პოპოვი, კოპაევი, ბუროვი (კოლინკო).

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, კანთელაძე, რეხვიაშვილი, კუტივაძე (შერგელაშვილი), ასათიანი, მეტრეველი, გავაშელი, ნოდია, დათუნაშვილი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დონეცკში განცდილმა მარცხმა თბილისის “დინამო” ძნელი ამოცანების წინაშე დააყენა. თუ საკომპენსაციო ქულები არ იქნებოდა აღებული როსტოვში, III ადგილზე გასვლის საკითხი გუნდისთვის ერთობ არაორაზროვანი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა.

მაგრამ როსტოვში წარმატების მოპოვება არც ისე იოლი საქმეა, ვინაიდან არმიელები შინ განსაკუთრებული მონდომებითა და ენერგიით იბრძვიან და არც ერთი წუთით არ აკლიათ გულშემატკივართა აქტიური მხარდაჭერა.

პირდაპირ უნდა ითქვას: თბილისელებმა გუშინ თავდაუზოგავად იბრძოლეს. მასპინძელთა ყველაზე უფრო აგრესიული ფორვარდის კოპაევის ნეიტრალიზება მიენდო ახალგაზრდა კანთელაძეს, რომელმაც ამ ძნელ დავალებას კარგად გაართვა თავი, შუა მინდორში აქტიურად ითამაშეს დინამოელთა ნახევარმცველებმა და საერთო ინიციატივა მოპოვებულ იქნა პირველ ტაიმშივე. მართალია, ბუროვსა და კოპაევს ჰქონდათ ბურთის გატანის ხელსაყრელი მომენტები, მაგრამ თამაშის სადავეები თბილისელებს ეპყრათ.

გოლი, რომელმაც “დინამოს” ესოდენ საჭირო გამარჯვება მოუტანა, გატანილ იქნა 45-ე წუთზე. ნოდიას გარღვევის შემდეგ დათუნაშვილმა ზუსტი თავური დარტყმით გაგზავნა ბურთი არმიელთა კარში.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა ძლიერი იერიშებით დაიწყეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. ამ ძნელ ვითარებაში კარგად ითამაშეს “დინამოს” მცველებმა და ურუშაძემ, ათიოდე წუთის შემდეგ კი შეტევაზე ისევ თბილისელები იყვნენ. გოლის გატანის შანსები ჰქონდათ გავაშელს, ნოდიას, შერგელაშვილს.

დინამოელებმა ბოლომდე ენერგიულად იბრძოლეს და შეინარჩუნეს ეს ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 14 ოქტომბერი, 1967 წ.